სამაგისტრო ნაშრომის ინსტრუქცია

სამაგისტრო ნაშრომი არის სოციალური მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო სასწავლო კურსი/საგანი. სოციალური მეცნიერებების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მისაღებად სოციალური მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი ვალდებულია შეასრულოს პროგრამით გათვალისწინებული ყველა პირობა, მათ შორის, მიიღოს დადებითი შეფასება სამაგისტრო ნაშრომის საგანში.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასება შედგება სამი კომპონენტისგან:

- ხელმძღვანელის შეფასება - 60 ქულა
- რეცენზენტის შეფასება - 30 ქულა
- ნაშრომის ზეპირი დაცვა/პრეზენტაცია - 10 ქულა

თითოეული კომპონენტის მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 50% (ხელმძღვანელის შეფასება - 30 ქულა, რეცენზენტის შეფასება - 15 ქულა, ზეპირი პრეზენტაცია - 5 ქულა). საგანი ითვლება ჩაბარებულად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტმა გადალახა ხელმძღვანელის, რეცენზენტის და ნაშრომის ზეპირი დაცვისთვის/პრეზენტაციისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვრები და მიიღო ერთ-ერთი დადებითი შეფასება საგანში (მინიმუმ 51 ქულა ჯამურად).

სამაგისტრო ნაშრომის სასწავლო კურსის შეფასების შკალა შემდეგნაირია:

შეფასება	**აღწერა**	**პროცენტული ინტერვალი**	**რიცხვითი ექვივალენტი 4.0 ბალიან შკალაში**
A	ფრიადი	91 – 100	3.39 – 4.0
B	ძალიან კარგი	81 – 90	2.78 – 3.38
C	საშუალო	71 – 80	2.17 – 2.77
D	დამაკმაყოფილებელი	61 – 70	1.56 – 2.16
E	საკმარისი	51 – 60	1.0 – 1.55

FX	ვერ ჩააბარა (ხელახლა ჩაბარების უფლება)	41-50	0
F	ჩაიჭრა (საგანი ახლიდან შესასწავლი)	0 - 50	0

თუ სტუდენტი ვერ გადალახავს ხელმძღვანელის ან რეცენზენტის ან ნაშრომის ზეპირი დაცვისთვის/პრეზენტაციის განსაზღვრულ მინიმალურ კომპეტენციის ზღვარს, ან საგნის ჯამური შეფასება იქნება 51 ქულაზე ნაკლები, სტუდენტი ფასდება F-ით და წარმოიშობა დამატებითი კრედიტების (20 ECTS) საფასური საგნის ხელმეორედ გასავლელად.

FX შეფასების შემთხვევაში, სტუდენტი უფლებამოსილია მომდევნო სემესტრში წარადგინოს გადამუშავებული ნაშრომი, ხოლო F შეფასების შემთხვევაში, სტუდენტი კარგავს იმავე ნაშრომის წარდგენის უფლებას.

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესს სტუდენტი იწყებს პროგრამაზე ჩარიცხვისთანავე, თუმცა სამაგისტრო ნაშრომის კურსისთვის სოციალური მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამის სემესტრული გეგმით გათვალისწინებულია IV სემესტრი. სამუშაო პროცესი დაყოფილია ეტაპებად და სტუდენტი ვალდებულია სემესტრის მანძილზე შეასრულოს რამდენიმე სავალდებულო კომპონენტი:

1. **თემის და ხელმძღვანელის დარეგისტრირება** - გულისხმობს ნაშრომის თემის შერჩევას ხელმძღვანელთან კონსულტაციით. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს მხოლოდ თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ლექტორი/ლექტორები.
2. **ნაშრომის აბსტრაქტის წარმოდგენა** - ხელმძღვანელთან კონსულტაციით სტუდენტი ამზადებს შესასრულებელი ნაშრომის მოკლე აღწერილობას. აღწერილობა უნდა მოიცავდეს ნაშრომში განსახილველი საკითხის/საკითხების აღწერას, ძირითად მეთოდებს, ჰიპოთეზებსა და კვლევის სავარაუდო შედეგებს.
3. **ნაშრომის შავი ვერსიის წარმოდგენა** - ამ კომპონენტის ფარგლებში სტუდენტი ამზადებს ნაშრომის სამუშაო ვერსიას, რომელიც აუცილებლად უნდა შეთანხმდეს ნაშრომის ხელმძღვანელთან. ნაშრომის შავი ვერსიის წარმოდგენის წესი ისეთივეა, როგორიც აბსტრაქტის ჩაბარებისას. ნაშრომის სამუშაო ვერსიის აკადემიური ხელმძღვანელის მიერ მოწონების შემდეგ, სტუდენტი განაგრძობს ნაშრომზე მუშაობას.

4. **საბოლოო ნაშრომის წერილობითი ვერსიის ჩაბარება** - სტუდენტი წინასწარ განსაზღვრულ ვადაში წარმოადგენს საბოლოო ნაშრომს, რომელსაც აფასებს ხელმძღვანელი და რეცენზენტი.
5. **სამაგისტრო ნაშრომის დაცვა** - სტუდენტი ზეპირ პრეზენტაციაზე დაიშვება ხელმძღანელისა და რეცენზენტისგან მიღებული დადებითი შეფასების შემთხვევაში. ხელმძღვანელის და რეცენზენტის შეფასებების მიღების შემდეგ სტუდენტი კომისიის წინაშე წარადგენს სამაგისტრო ნაშრომს ზეპირი პრეზენტაციის სახით.

თემის და ხელმძღვანელის დასარეგისტრირებლად სტუდენტი საუნივერსიტეტო ელ. ფოსტით მიმართავს პროგრამის კოორდინატორს და მიმოწერაში ამატებს ხელმძღვანელის საუნივერსიტეტო ელ. ფოსტას. თემა და ხელმძღვანელი დარეგისტრირებულად ითვლება მას შემდეგ, რაც ხელმძღვანელი გამოხატავს თანხმობას კონკრეტული ნაშრომის აკადემიურ ხელმძღვანელობაზე.

ნაშრომის დანარჩენ კომპონენტებს (აბსტრაქტი, შავი ვერსია, საბოლოო ნაშრომი) სტუდენტი თავისი საუნივერსიტეტო ელ. ფოსტიდან აგზავნის პროგრამის კოორდინატორთან, შესაბამის ვადებში. სტუდენტი ვალდებულია მიმოწერაში დაამატოს ნაშრომის ხელმძღვანელის საუნივერსიტეტო ელ. ფოსტაც. ნაშრომის ყველა კომპონენტი წინასწარ უნდა იყოს გავლილი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთან.

სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ვადები (2023-2024 აკადემიური სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი):

სემესტრი	**თემის და ხელმძღვანელის დარეგისტრირება**	**აბსტრაქტი**	**შავი ვერსია**	**საბოლოო ნაშრომი**
2023-2024 გაზაფხული	II კვირა 22.03.2024	IV კვირა 07.04.2024	X კვირა 17.05.2024	XVI კვირა 28.06.2024

ნაშრომის თითოეული კომპონენტისთვის განსაზღვრული ვადა სავალდებულოა შესასრულებლად. ინსტრუქციით გათვალისწინებული ცალკეული ვადის დარღვევის შემთხვევაში სტუდენტი კარგავს საბოლოო ნაშრომის წარდგენის და დაცვის უფლებას. თუ

სტუდენტმა IV სემესტრში არ შეასრულა ინსტრუქციით განსაზღვრული რომელიმე სავალდებულო კომპონენტი, უქმდება რეგისტრაცია სასწავლო კურსზე და სამაგისტრო ნაშრომი გადადის დამატებით სემესტრში (მაგალითისთვის, თუ სტუდენტს დარეგისტრირებული აქვს თემა და ხელმძღვანელი, წარმოდგენილი აქვს აბსტრაქტი, შავი ვერსია და ვერ წარმოადგინა საბოლოო ნაშრომი, იგი კარგავს ნაშრომის ჩაბარებისა და დაცვის უფლებას 2022-2023 წლის გაზაფხულის სემესტრში). ამ შემთხვევაში, არ წარმოიშობა დამატებითი კრედიტების საფასური. ასეთ შემთხვევაში, სტუდენტი ვალდებულია ხელმეორედ შეასრულოს ინსტრუქციით განსაზღვრული სავალდებულო კომპონენტები.

სამაგისტრო პროგრამის დებულების მე-8 მუხლის, 8.2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, თუ მაგისტრატურის სტუდენტი სწავლის დაწყებიდან 6 სემესტრის განმავლობაში ვერ დააგროვებს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ შესაბამისი ოდენობის კრედიტებს, სტუდენტს ავტომატურად შეუჩერდება სტატუსი. სტატუსის შეჩერების საფუძველი, ასევე, შეიძლება იყოს თუ სტუდენტს პროგრამაზე ჩარიცხვიდან 6 სემესტრის განმავლობაში შესრულებული აქვს პროგრამით გათვალისწინებული პირობები და არ წარმოადგინა სამაგისტრო ნაშრომი.

თუ სტუდენტს შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი, იგი ვალდებულია სამაგისტრო ნაშრომის წარმოდგენის სემესტრის დაწყებამდე მიმართოს სკოლის ადმინისტრაციას სტატუსის აღდგენის შესახებ განსაზღვრული ვადების დაცვით. თუ სტუდენტი არ წარადგენს ნაშრომს სტატუსის აღდგენის სემესტრში, მას საგანში დაუფიქსირდება F შეფასება და წარმოიშობა დამატებითი კრედიტების საფასური.

სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ვადები დამატებითი სემესტრის ფარგლებში:

სემესტრი	**თემის და ხელმძღვანელის დარეგისტრირება**	**აბსტრაქტი**	**შავი ვერსია**	**საბოლოო ნაშრომი**
2023-2024 შემოდგომა	II კვირა 06.10.2023	IV კვირა 20.10.2023	X კვირა 01.12.2023	XVI კვირა 12.01.2024
2023-2024 გაზაფხული	II კვირა 19.03.2024	IV კვირა 02.04.2024	X კვირა 14.05.2024	XVI კვირა 25.06.2024

სტუდენტი, რომელიც გეგმავს სწავლის გაგრძელებას უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე, ვალდებულია კონსულტაცია გაიაროს მიმღებ უნივერსიტეტთან მიღების ვადებთან დაკავშირებით და სამაგისტრო ნაშრომის განსაზღვრულ ვადაზე ადრე დაცვის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს შესაბამისი პროგრამის კოორდინატორს საბოლოო ნაშრომის წარმოდგენის დედლაინამდე ერთი თვით ადრე.

დამატებითი ინფორმაცია სამაგისტრო ნაშრომის სასწავლო კურსის შინაარსობრივი საკითხების შესახებ იხილეთ საგნის სილაბუსში.